არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„დილისკის № 4 საბავშვო ბაღის“

“სხვადასხვა საკვები პროდუქტების” სახელმწიფო შესყიდვის

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

(15800000)

შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის № 9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. ახალქალაქი

2015 წელი

1. ტექნიკური მოთხოვნები.

1.1 პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები, **დანართი №1**

ბ) ფასების ცხრილი; **დანართი №2**

1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

ა) ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანმხლები დოკუმენტაცია. ანგარიშსწორება მოხდება შემსყიდველის მიერ მიღება–ჩაბარების აქტის **ხელმოწერიდან 15 სამუშაო დღის** განმავლობაში;

ბ) წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება;

გ) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;

დ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.3 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ მოითხოვება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

1. ტექნიკური დავალება (მისაწოდებელი პროდუქტების ჩამონათვალი) შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საკვები პროდუქტის მიწოდება შემსყიდველის ბაღებში, შესაბამის ვადებში:

№	დასახელება	აღწერილობა, საქონლის ხარისხობრივი მახასიათებლები		გაზ.	რაოდენობა წლის განმალობაში	მიწოდების გრაფიკი	
1	პური	თეთრი, 600 გრ ბატონი, ცელოფანის პარკებში		კგ	2313	ყოველდღიურად	ეტაპობრივად, მომსახურება უნდა განხორციელდეს დანართი #2 შესაბამისად 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2	ხრაშუნა ტკბილი ნამცხვრები	საცალო ახალი (პეჩენია, ვაფლი)		კგ	529	ყოველთვიურად	
3	შაქარი	შაქრის ფხვნილი		კგ	734	ყოველთვიურად	
4	საკონდიტრო ნაწარმი	საცალო ახალი		კგ	20	ყოველთვიურად	
5	მაკარონი	სხვადასხვა სახის, წონის		კგ	97	ყოველთვიურად	
6	შავი ჩაი	კოლოფით (25 პაკეტიანი), შავი		ც	4.25	ყოველთვიურად	
7	არომატული ბალახები (მწვანეთა)	ახალი		კგ	12	ყოველთვიურად	
8	მარილი	საოჯახო (ქვამარილი)		კგ	80	ყოველთვიურად	
9	საფუარი	50გრ პაკეტიანი		კგ	0.5	ყოველთვიურად	

2. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდებისთანავე უნდა წარმოადგინოს საქონლის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. მისაწოდებელი საქონელი უნდა იყოს შეფუთული ან დაფასოებული, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს პროდუქტის ხარისხის შენარჩუნებას.

4. საქონლის შენახვისას და ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იყოს სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნები.

3. საქონლის მიწოდების გრაფიკი

1. **ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

2. მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, **ბაღების ბუღალტრის მიერ გაკეთებული განაცხადის საფუძველზე** (განაცხადს თანხმობითა და ხელმოწერით ადასტურებს ბაღის დირექტორი).

3. საკვები პროდუქტის შენახვა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ერთ კონკრეტულ მისამართზე,(ქალაქის ტერიტორიაზე, ახალქალაქში) სადაც დაცული უნდა იყოს სანიტარულ ჰიგიენური ნორმები და საკვები პროდუქტის შენახვის პირობები.
4. საკვები პროდუქტის ცალკეულ ბაღებამდე მიტანას უზრუნველყოფენ საბავშვო ბაღების წარმომადგენლები, სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.
5. მომსახურება უნდა განხორციელდეს დანართი №2–ის შესაბამისად ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. სტანდარტები
1. საკვები პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16.08 #301/ნ ბრძანების ,,სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმები,,-ს** მოთხოვნებს.
2. საკვები პროდუქციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სანიტარულ–ჰიგიენურ ნორმატივებს;
3. საკვები პროდუქტების დაფასოება და შეფუთვა უნდა უზრუნველყოფდეს მისი ხარისხისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას;

5. ანგარიშსწორების პირობები:
1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება **შეადგენს 8480 (რვა ათას ოთხას ოთხმოცი) ლარს.**
2. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, დღგ-ს (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში), ტრანსპორტირების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სხვა ხარჯებს.)
3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
4. ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

6. დამატებითი ინფორმაცია
1. სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, მის: ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. დილისკა საკონტაქტო პირი : **ნეკტარ ადამიან, ტელ; 595 751333**

7. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

(ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში)

ქ. ახალქალაქი --------- ---------- 2015წ

ერთის მხრივ **ა(ა)იპ დილისკის № 4 საბავშვო ბაღი** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით და მეორეს მხრივ ---------- შემდგომში „მიმწოდებელი“ საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1. ხელშეკრულების საგანია „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან“ ---------- (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) შესყიდვა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი
2.1. ხელშეკრულების საგანი მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, ტრანსპორტირების და სხვა ხარჯების გათვალისწინებით) შეადგენს -------- (----------) ლარს.

4. სტანდარტები
4.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულ სტანდარტებს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16.08 №301/ნ ბრძანების „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების“ შესაბამისად.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და /ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. ამ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტრირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
5.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
5.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი, რომელსაც ქმნის და რომლის შემადგენლობასაც განსაზღვრავს საბავშვო ბაღის დირექტორი კონკრეტული სამართლებრივი აქტით.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად საბავშვო ბაღებიდან მიწოდებული განაცხადის საფუძველზე.
6.2 მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ბაღების ბუღალტრების მიერ გაკეთებული განაცხადის საფუძველზე, განაცხადზე საქონლის გაცემის თანხმობა დადასტურებული უნდა იყოს ბაღის დირექტორის თანხმობითა და ხელმოწერით.
6.3. საქონლის შენახვა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ერთ კონკრეტულ მისამართზე (აუცილებლად ქალაქის ტერიტორიაზე) სადაც დაცული უნდა იყოს სანიტარულ ჰიგიენური ნორმები და საკვები პროდუქტის შენახვის პირობები.
6.4. საქონლის (საკვები პროდუქტის) ცალკეულ ბაღებამდე მიტანას უზრუნველყოფენ საბავშვო ბაღების წარმომადგენლები სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.
6.5. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, საქონლის მიწოდებისას მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის სასაქონლო ზედნადების გაფორმებით. (შემსყიდველის მხრიდან სასაქონლო ზედნადების გაფორებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე მუხლის 6.4. პუნქტში მითითებული პირები)
7.2. სასაქონლო ზედნადებთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
8.2. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, საქონლის მიწოდების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის შესაბამისად.

9. ფასები

9.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
9.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.3. ხელშეკრულებითი პარამეტრების შეცვლა ხდება მხარეთა შეთანხმებით.
9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

შემსყიდველის უფლება-მოვალეობები:
10.1. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურება.
10.2. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტის დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება.
103. განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემოწმება.
მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები
10.4. შეთანხმებულ ვადაში, დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;
10.5. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს მიაწოდოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.
10.6. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;
10.7. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში.
10.8. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 2 (ორი) კვირით ადრე.
11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელმა შემსყიდველს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულებების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.
13.2. იმ შემთხვევაში თუკი ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

16.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოებების შედეგი.
15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ მიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3. ფორს მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტების ირგვლივ.

16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. შეტყობინება

17.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს დანართი №2–ის შესაბამისად ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18.2 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

19. სხვა პირობები

19.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებეი და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწიდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის სატენდერო წინადადებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

19.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ დილისკის № 4 საბავშვო ბაღი საიდენტიფიკაციო კოდი: 223366676 მისამართი: ახალქალაქის მუნიციპალიტეტი ს. დილისკა მიმღები ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“ ახალქალაქის ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიში #: GE72LB0115125119064000 ---------- მ. გაბრიელიან	

8. პრეტენდენტების მიერ დამატებით წარმოსადგენი მონაცემები:

დანართი № 1

რეკვიზიტები:

ა) პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება;----------

ბ) ხელმძღვანელის სახელი და გვარი;----------

გ) პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;----------

დ) საიდენტიფიკაციო კოდი;----------

ე) პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;----------

ვ) ელექტრონული მისამართი;----------

ზ) მომსახურე ბანკის კოდი;----------

თ) ანგარიშსწორების ანგარიში.----------

_____პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი

დანართი 2

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

№		საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	რაო დე ნობა	ერთეუ ლის ფასი (ლარი)	საერთო ღირებუ ლება (ლარი)	მიწოდე ბის ვადა	მიწოდე ბის ადგილი
1	15811100	პური	თეთრი, 600 გრ ბატონი, ცელოფანის პარკებში	კგ			ეტაპობრივად, მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდისუბანი
2	15821200	ხრაშუნა ტკბილი ნამცხვრები	საცალო ახალი (პეჩენია, ვაფლი)	კგ				
3	15831000	შაქარი	შაქრის ფხვნილი	კგ				
4	15842310	ტკბილეული (კარამელი), საკონდიტრო ნაწარმი	საცალო ახალი	კგ				
5	15851100	მაკარონი	სხვადასხვა სახის, წონის	კგ				
6	15863200	შავი ჩაი	კოლოფით (25 პაკეტიანი), შავი	ც				
7	15872300	არომატული ბალახები (მწვანეთა)	ახალი	კგ				
8	15872400	მარილი	საოჯახო (ქვამარილი)	კგ				
9	15898000	საფუარი	50გრ პაკეტიანი	კგ				
					სულ:			

_____ პრეტენდენტის ხელმოწერა, ბეჭედი